



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2017 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის
შედეგების შესახებ

სარჩევი

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	3
1.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3
1.2 მარაგების და ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის შესახებ	3
1.3 ხარჯებში ჩამოსაწერი ფინანსური აქტივები	4
1.4 ძირითადი აქტივები	4
1.5 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	4
1.6 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	5
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	6
2.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	6
2.2 ვადაგადაცილებული მოთხოვნები	6
2.3 გრანტები (ხარჯი)	7
3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი	8

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „ქალაქ ჭიათურაში მდებარე ქალაქის ცენტრის პერიფერიებთან დამაკავშირებელი ურბანული მექანიკური საბაგიროების აღჭურვილობის განახლების“ პროექტთან დაკავშირებით, „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში 2015 წლიდან ასახულია 5,366,518 ლარის მოთხოვნა-ავანსი. 2016 წლიდან პროექტის განხორციელების უფლებამოსილება გადაეცა მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელმაც სამინისტროს აპარატის მსგავსად, 25,751,715 ლარის ავანსი გადაურიცხა მომწოდებელს და 2017 წელს მიღება-ჩაბარების საფუძველზე 27,369,167 ლარის ავანსი ჩამოწერა, შესაბამისად, სხვაობა გადახდილ ავანსსა და ჩამოწერილ ავანსს შორის 1,617,167 ლარი - ფონდს აღიარებული აქვს ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში. ვინაიდან პროექტის განხორციელების უფლებამოსილება 2016 წლიდან სამინისტროს აპარატს აღარ გააჩნდა და პროექტის სრულ ადმინისტრირებას ფონდი ახორციელებდა, აღნიშნული მოთხოვნა სამინისტროს აპარატს უნდა გადაეცა ფონდისთვის.

რეკომენდაცია N1. სამინისტროს აპარატს; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამინისტროს აპარატმა და მუნიციპალური განვითარების ფონდმა, პროექტი განიხილონ ერთიან ჭრილში და გადახდილი და ჩამოწერილი თანხების შედარების საფუძველზე, გამოავლინონ რეალური გარემოება და იმოქმედონ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

1.2 მარაგების და ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის შესახებ

გამოვლენილი გარემოება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა აუდიტის პროცედურების დასრულებამდე ვერ მოგვაწოდა სხვა მატერიალური მარაგების და ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის აქტები, რადგან აუდიტორული პროცედურების დასრულების თარიღისათვის ინვენტარიზაციის აქტი დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული არ იყო. აღნიშნული აქტი დამტკიცდა 2018 წლის 14 ივნისს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების შედეგად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას საკუთრებაში არსებული მარაგების და ძირითადი აქტივების სისრულესა და არსებობაზე. აღნიშნული მიუთითებს აქტივების მართვასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე.

სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ აუდიტის მსვლელობის პროცესში ვერ იქნა წარმოდგენილი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის აქტები, რადგან ინვენტარიზაციის პროცესი არ იყო დასრულებული.

რეკომენდაცია N2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

იმისათვის, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს და სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული სხვა მატერიალური მარაგების და ძირითადი აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან შესადარისობის შესახებ, მნიშვნელოვანია საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს ინვენტარიზაციის

დასრულება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ინვენტარიზაციის შედეგებისა და ბუღალტრული მონაცემების ურთიერთშედარება, ხოლო პროცესის შემზღუდველ ფაქტორებთან მიმართებით დაუყოვნებლივ გატარდეს სათანადო ქმედებები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

1.3 ხარჯებში ჩამოსაწერი ფინანსური აქტივები

გამოვლენილი გარემოება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად ასახულია სსიპ - ქონების ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემული კომპანიების კაპიტალში განხორციელებული შენატანები, რომლებიც 2016 წელს უნდა ჩამოწერილიყო ბალანსიდან, რაც არ განხორციელდა.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არასწორად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვას შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. ვინაიდან აღნიშნული აქტივი აღიარებული აქვს სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად, სამინისტრომ უნდა ჩამოწეროს ბალანსზე აღრიცხული 83,577,619 ლარის აქტივები.

1.4 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოება

დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგების დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის მუხლში ასახულია 1,851,696,947 ლარის აქტივი. აღნიშნულ მუხლში გამოვლინდა დასრულებული პროექტები ჯამური ღირებულებით - 279,217,889 ლარის ოდენობით, რომელიც დასრულდა 2014 წელს და შესაბამისად, დღემდე არ მომხდარა მისი რეკლასიფიკაცია, რამაც ასევე გამოიწვია ძირითადი კაპიტალის მოხმარების, მინიმუმ, 8,376,536 ლარით შემცირება.

რეკომენდაცია N4. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოახდინოს რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივიდან - ხიდების და გზების მუხლებში და დაერიცხოს ცვეთა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანების შესაბამისად. ასევე მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს ის პროექტები, რომლებიც ადგენენ დაუმთავრებელი აქტივის მუხლს და დასრულებული პროექტების გამოვლენის შემთხვევაში, დაკლასიფიცირდეს შინაარსის შესაბამისად.

1.5 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გამოვლენილი გარემოება

სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესრულებულ სამუშაოებზე დაკავებული 5%-იანი ხარისხის დაცვის თანხებს - 23,242,132 ლარის ოდენობით, რადგან ცენტრი აღრიცხვიანობას აწარმოებს საკასო მეთოდით და

არ ხელმძღვანელობს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით. აღნიშნული ვალდებულებები არც დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

რეკომენდაცია N5. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრს; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

იმისათვის, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ცალკეული საბალანსო ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება იქნეს უტყუარად წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებებში დაშვებული არსებითი უზუსტობების აღმოფხვრას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ დაკავებული ყველა ხარისხის დაცვის თანხების იდენტიფიცირება და მათი ვალდებულების სახით ასახვა.

1.6 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გამოვლენილი გარემოება

დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯი შეადგენს 82,269,690 ლარს. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტს არ აქვს შემუშავებული შიდა პოლიტიკა გზების, ხიდების და გვირაბების ცვეთასთან დაკავშირებით და არც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით¹ ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ დეპარტამენტს არ აქვს აღრიცხული გზებზე არსებული ხიდები და გვირაბები სრულად და ისინი კლასიფიცირდებიან როგორც გზები. ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის ზემოაღნიშნული იწვევს მნიშვნელოვან სხვაობებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივების საბალანსე ღირებულებასა და კაპიტალის მოხმარების ანგარიშზე.

რეკომენდაცია N6. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისად, გზებს, ხიდებსა და გვირაბებს უნდა მიანიჭოს შესაბამისი კლასიფიკაცია. გზების, ხიდების და გვირაბების ცვეთის ხარჯის დაანგარიშებისთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანების შესაბამისად, განსაზღვრულია ცალკეული ცვეთის ნორმები.

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანება.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით ხორციელდება მყარი ნარჩენების მართვის პროექტი, რომლის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცა მუნიციპალიტეტებს სესხებად და ფინანსურ ანგარიშებაში „გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“ მუხლზე ასახულია 27,397,810 ლარის მოცულობით, აღნიშნულ სესხებზე მუნიციპალიტეტებთან სასესხო თანხის განმსაზღვრელი ხელშეკრულებები და დანართი N1 არ გაფორმებულა, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში ეტაპობრივად გაფორმდა შედარების აქტები, რის საფუძველზეც გაცემული სესხების - 26,635,796 ლარის გაცემა დადასტურდა, ხოლო 762,014 ლარის სესხების აღიარებაზე პირველადი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N7. *სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს*

გამოვლენილი გარემოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მუნიციპალური განვითარების ფონდმა, მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული ქონების ღირებულების საფუძველზე წარმოშობილ სასესხო მოთხოვნებზე, ქონების გადაცემის ხელშეკრულების მე-2 მუხლში² მოცემული სესხის თანხასთან დაკავშირებული ძირითადი პირობები მოიყვანოს შესაბამისობაში.

2.2 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშებაში ასახულია 5,591,004 ლარის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები. ვადაგადაცილებები გამოწვეულია იმით, რომ დებიტორები - შპს „საქართველოს წყალმომარაგების კომპანია“ (3,447,644 ლარი) და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი (2,143,360), არ ეთანხმებიან თანხის გადახდის ვალდებულებას. ფონდის განმარტებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და სამუშაო პროცესი დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცესის დროში გაჭიანურებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფონდის მიერ მისაღები ფინანსური რესურსის მიმდინარე ღირებულებაზე.

რეკომენდაცია N8. *საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს*

აღნიშნული თანხების დროულად დაბრუნების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემურ დებიტორებთან მოლაპარაკებებს, შეადგენს და მონიტორინგს გაუწევს თანხის გადახდის გრაფიკს, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რესტრუქტურიზაციის გონივრულ გეგმას.

² ქონების გადაცემის ხელშეკრულების მე-2 მუხლი, 2.4.1 პუნქტი: სესხის ოდენობა საბოლოოდ დაზუსტდება პროექტის ქონების სრულად გადაცემის შემდეგ და ასახება დანართი N1-ში; 2.8. პუნქტი: ბენეფიციარის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის მიხედვით, წელიწადში ორჯერ; 2.8. ოქტომბერს და 28 აპრილს; 2.9. პუნქტი: დანართი N1 შედგენილი იქნება პროექტის ქონების სრულად გადაცემის შემდეგ; 2.10. გადახდის შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ბენეფიციარი ვალდებულია, დაიწყო სესხის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლისა და დანართი N1-ის შესაბამისად.

2.3 გრანტები (ხარჯი)

გამოვლენილი გარემოება

საავტომობილო გზების დეპარტამენტი შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შექმნილ ძირითად აქტივებს (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები) „გრანტების“ მუხლით გადასცემს შესაბამის მუნიციპალიტეტებს. გადაცემის დროს დეპარტამენტსა და მუნიციპალიტეტებს შორის არ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები და გადაცემა ხდება წერილის და თანდართული საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, არ აკისრებს მუნიციპალიტეტს ვალდებულებას გადმოცემულ აქტივზე განახორციელოს მოვლა-პატრონობა.

რეკომენდაცია N9. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს მუნიციპალიტეტებისთვის აქტივის გადაცემის მართებული პროცედურა.

3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

რეკომენდაცია N1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

მნიშვნელოვანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

- სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვას შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.
- ყველა დაშვებულ არსებით (როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად) შეცდომასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებზე, გამომწვევ მიზეზებსა და გავლენებზე ადეკვატურ რეაგირებას, შეფასებასა და დოკუმენტირებას.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებული

სამინისტროს აპარატის მიერ ფინანსური აქტივის გადაცემასთან დაკავშირებით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოზე გაგზავნილია წერილი (N01/129, 12.01.2018) - რეკომენდაცია ჯერ არ შესრულებულა.

რეკომენდაცია N2. სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლისა და ჩამოწერის პროცესს, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებული

საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის და ასევე კონტრაქტორებთან და ბენეფიციარებთან განხორციელებული შედარებების საფუძველზე ფონდმა გაითვალისწინა რეკომენდაცია. შესაბამისად, მიმდინარე პერიოდისათვის რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია N3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

იმისათვის, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული მარაგების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, მნიშვნელოვანია საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს ინვენტარიზაციის აქტების შედგენა ისე, რომ შესაძლებელი იყოს ბუღალტრულ მონაცემებთან შედარება. ასევე აუცილებელია ინვენტარიზაციის პროცესის შემზღუდველ ფაქტორებთან მიმართებით დაუყოვნებლივ გატარდეს სათანადო ქმედებები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ინვენტარიზაციისას ისეთი პროცედურების ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფს აქტივებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული შეუსაბამოების აღმოჩენას.

შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტის მხრიდან დაიწყო ინვენტარიზაციის პროცესი ბალანსზე რიცხული ქონების აღსაწერად, აუდიტის პერიოდში 2017 წლის ინვენტარიზაცია არ იყო დასრულებული.

რეკომენდაცია N4. სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში პირდაპირ კაპიტალის ანგარიშზე აქვს ასახული გარკვეული ტიპის შემოსავლები, რაც ეწინააღმდეგება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპებს. შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 3,708,725 ლარით არასწორად არის წარმოდგენილი.

იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად და გამჭვირვალედ იქნეს წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეიმუშაოს და დანერგოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებითი შეცდომების დროულ აღმოჩენას და შესწორებას.

შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

მიმდინარეობს ფონდის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაციის სამუშაოები, რაც მიზნად ისახავს რეალური და სანდო ფინანსური ანგარიშის შედგენას. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ფონდის მიერ ამ ნაწილში შესრულებულია.

რეკომენდაცია N5. სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა დანერგოს და გამოიყენოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეამცირებს ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს (მაგალითად: პროგრამაში ავტორიზაციის ფუნქციის გამოყენება, ერთ დოკუმენტზე გატარების დუბლირების შეტყობინება და სხვ.).

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოიყენოს მხოლოდ ერთ კონკრეტულ სისტემატიზებულ საბუღალტრო პროგრამაში არსებული მონაცემები, აგრეთვე პროგრამას დაემატოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ველი, რომლის შევსებაც იქნება აუცილებელი და იდენტიფიცირებადს გახდის, თუ რომელ ეკონომიკურ მუხლს მიეკუთვნება კონკრეტული ბუღალტრული გატარება.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებული

ფონდი ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს პროგრამა „ორისმენეჯერით“ და სრულად იყენებს მის ტექნიკურ შესაძლებლობებს. 2017 წლის ოპერაციებზე უკვე მინიჭებულია შემოსულობების და გადასახდელების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდი. შესაბამისად, ფონდის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია N6: სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

იმისათვის, რომ დაცული იყოს საკანონმდებლო მოთხოვნები მნიშვნელოვანია, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფონდის მიერ გაცემული ყველა მინდობილობის ვადების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში, დროულ განახლებას.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებული

აღნიშნულ საკითხზე ფონდმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და გააძლიერა შიდა კონტროლი.

რეკომენდაცია N7. სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

წლის ბოლოსათვის აუთვისებული საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა ქმნის რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხრიდან, შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში ბიუჯეტის თანაბარპროპორციულ ათვისებას.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებული

აღნიშნულ რეკომენდაციაზე ფონდის მიერ ოფიციალური განმარტებით საბიუჯეტო სახსრების ათვისება ხორციელდება კონტრაქტორების მიერ სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის შესაბამისად, რაც, ასევე უკავშირდება სეზონურობას. ამასთანავე, საავანსო თანხების გადახდა ხორციელდება შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით დათქმულ ვადებში, რომელიც ასევე შეთანხმებულია დონორ ორგანიზაციებთან. ამდენად, ფონდი საბიუჯეტო სახსრების ათვისების გრაფიკს საკუთარი სურვილის მიხედვით ვერანაირად ვერ შეცვლის.

რეკომენდაცია N8. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

იმისათვის, რომ საავანსო თანხების გადარიცხვისას დაცული იყოს საკანონმდებლო და სახელშეკრულებო მოთხოვნები, მნიშვნელოვანია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გააუმჯობესოს არსებული კონტროლის მექანიზმები ისე, რომ უზრუნველყოს თანხების გადარიცხვა სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად და დაასაბუთოს გამონაკლისის დაშვების აუცილებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებული

ფონდის განმარტებით, საავანსო გადახდების განხორციელებისას, ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და კონტრაქტორებთან გაფორმებული სახელშეკრულებო პირობებით, რომლებიც, თავის მხრივ, შეთანხმებულია დონორ ორგანიზაციებთან. რაც შეეხება გამონაკლის შემთხვევებს, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებისაგან განსხვავებული გამონაკლისი შემთხვევები ფონდს არ გააჩნია.

რეკომენდაცია N9. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

თანხების დროულად დაბრუნების მიზნით, მნიშვნელოვანია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პრობლემურ დებიტორებთან მოლაპარაკებებს, შეადგენს და მონიტორინგს გაუწევს თანხის გადახდის გრაფიკს და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რესტრუქტურიზაციის გონივრულ გეგმას.

შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებულია

ფონდის ოფიციალური განმარტებით, დაგეგმილია აღნიშნული საკითხების განხილვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩართულობით.

რეკომენდაცია N10. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შრომის ანაზღაურების სისტემისა და საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, სახელფასო დანამატები გასცეს ინდივიდუალური შემთხვევებიდან გამომდინარე, მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის, რომლის საფუძველიც დეტალურად უნდა დასაბუთდეს.

შესრულების მდგომარეობა: შესრულებული

სამინისტროს აპარატის და დეპარტამენტის ოფიციალური განმარტებით, 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებულია სახელფასო დანამატის გაცემის საფუძვლები და ამავე მუხლის შესაბამისად, სახელფასო დანამატის საერთო ოდენობა განისაზღვრება 2017 წლის 22 დეკემბერს მიღებული „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდაციის შესრულება დაწყებულია და გაგრძელდება.

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, რეკომენდაცია შეუსრულებელია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE